27/10/2025

MES 9 25 0001409193

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 10 ოქტომბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:***

**ელენე კაკაბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
**ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
**ნათია ბუთხუზი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
**გიორგი ვეკუა** - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
**ხათუნა ცერცვაძე** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
**გოჩა გოგიტიძე** - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
**გოგიტა შვენიერაძე** - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
**ეკატერინე გიგაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი.

***სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:***

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
**ნინო ხელაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

***საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:***
თინათინმეფარიშვილი
დავით კუპატაძე
გიორგი კაკაშვილი
ლანა გაჩეჩილაძე
დიმიტრი ქარსელაძე
დავით კუპატაძე
ნინო ხაჩიძე
თეა ბარამაშვილი

***დაწესებულებების წარმომადგენლები:***

**ა(ა)იპ კოლეჯი "განთიადი"**
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ანა დათუაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ლელა სამხარაძე
იურისტი - ნათია გოგინაშვილი

**შპს პროფიუნიტი**
ხარისხის მართვის კოორდინატორი - იანდი შეყილაძე

**შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**
რექტორი - სერგო ტეფნაძე;
რექტორის პირველი მოადგილე - დავით ტეფნაძე;
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ემზარ ბარბაქაძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო ღაჭავა;
„აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ბექა ბუიძე;
„საჰაერო გადაყვანა გადაზიდვები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - გიორგი ევგენიძე.

**სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“**
მამია ჯანჯალია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე
ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ნონა შერმადინი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**დღის წესრიგი:**
1. ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადში" საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს პროფიუნიტში "სამთო ტექნიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯისთვის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ,,გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

**პირველი საკითხი:** ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადში" საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2025 წლის 24 ივლისის სხდომაზე განხილულ იქნა ა(ა)იპ კოლეჯი "განთიადის" ავტორიზაციის შესახებ საკითხი. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით, იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დასრულებისა და ინგლისურენოვანი ვებგვერდის თაობაზე. მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2025 წლის 4 სექტემბერი, მონიტორინგის ფორმად - დოკუმენტების გამოთხოვა (ოქმი N955503 - 06.08.2025). ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის აგვისტომდე) გაეფორმებინა იჯარის ხელშეკრულება, რადგან მოქმედ ხელშეკრულებას ვადა ეწურებოდა 2025 წლის აგვისტოში, ხოლო ახალი ხელშეკრულების გაფორმების პროცესი ვიზიტის პერიოდში დასრულებული არ იყო. მიმდინარე წლის 3 სექტემბერს, ა(ა)იპ კოლეჯი "განთიადის“ მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა წერილი N1061864, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა მთავრობის განკარგულება იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე (N1333, 2025 წლის 14 აგვისტო). დამატებით, დაწესებულებამ ცენტრს შეატყობინა ინგლისურენოვანი ვებგვერდის არსებობის შესახებ, რაც მოქმედ ვებგვერდზე ვიზიტის შედეგადაც გადამოწმდა და დადასტურდა. საკითხის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა მიიღეს ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადში" საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯში "განთიადი" (ს/კ: 217890192) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 10 ოქტომბერი.

**მეორე საკითხი:** შპს პროფიუნიტში "სამთო ტექნიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლანა გაჩეჩილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს  და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 25 ივლისის N914911 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს პროფიუნიტში და საგანმანათლებლო პროგრამის - "სამთო ტექნიკოსი" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.დ) კომპონენტის, ასევე, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №1648806 ოქმისა და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯმა დადგენილ ვადაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 6 აგვისტოს შპს კოლეჯ პროფიუნიტში (ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29). ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტის განცხადებით, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია და ხარვეზები გამოსწორებულია.

**მონიტორინგის ვიზიტის შემდეგ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები**
IV სტანდარტი 4.1.2.3. - რიგ შემთხვევაში დასაქმებულ პირების პირად საქმეში წარმოდგენილი არ არის ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის/უფლების ჩამორთმევის შესახებ''. ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაწესებულებამ დაიცვას მოთხოვნა და არ გაუფორმოს პირს ხელშეკრულება აღნიშნული ცნობის წარმოდგენის გარეშე.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სამთო ტექნიკოსი“**

ექსპერტის განცხადებით,ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის ,,სამთო ტექნიკოსი“ სასწავლო გეგმებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობა . პროფესიული საგანმანათლებლო პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე. პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების დადასტურება ხდება როგორც დაწესებულებაში (თეორიული ნაწილი) ასევე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციაში და იმის მიხედვით, რომ პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა დროს უწევთ ამა თუ იმ აქტივობის გავლა, ყოველთვის ხდება მათზე მორგებულ დროს შედეგების დადასტურება. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მაღაროელთან“, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტი. ხელშეკრულებით დაზუსტებულია პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა 60, საწარმოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას 3 პროფესიულ სტუდენტზე მიმაგრებულია 1 ინსტრუქტორი.. კომპანია ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორი და დაიცვას შრომის უსაფრთხოების ნორმები. დაწესებულებაში შემუშავებულია ,, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა’, რომლის მიხედვითაც დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, რაც შეეხება პრაქტიკულ ნაწილს, შპს ,,მაღაროელი“ იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები ობიექტზე. დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა ინსტრუქტაჟების ჩატარების ფაქტი, კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ მათ პერიოდულად უტარდებათ სწავლება, რაც ასახულია ინსტრუქტაჟების ჟურნალებშიც. წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა დასკვნაში აღწერილი იყო, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. მე-4 მუხლში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულო ინფორმაცია და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები. დაწესებულების მხრიდან არასწორად არის გაგებული შეფასების პროცესის ადმინისტრირება, როგორც ტერმინები, ასევე პროცესი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა არ ითვალისწინებს ვალიდაციას. მეთოდოლოგიაში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ნაცვლად ვალიდაციისა. ვალიდატორის ნაცვლად ფიქსირდება ვერიფიკატორი. გარდა ამისა, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. შეფასების ინსტრუმენტს ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა შეფასების ინსტრმენტები და მტკიცებულებები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არც ერთი შეფასების ინსტრუმენტი არ არის ვალიდური,

შიდა დარგის ვერიფიკატორად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასების ინსტრუმენტში არ არის შეფასების შედეგებისათვის გამოყოფილი გრაფა. შეფასების მტკიცებულებების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები თეორიული კომპონენტის შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ტესტების სახით შეფასების ინსტრუმენტის ფორმის გარეშე. განმეორებითი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა და დადგინდა, რომ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით) მიხედვით დაწესებულებამ განახორციელა რიგი აქტივობები: განხორციელდა ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, კერძოდ ჩამოყალიბდა პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი. განმეორებითი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა და დადგინდა, რომ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით) მიხედვით დაწესებულებამ განახორციელა რიგი აქტივობები: განხორციელდა ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გასწორდა ტერმინოლოგია, ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელია ვერიფიკაციის ჯგუფი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, შესაბამისი დარგის სპეციალისტის ჩართულობით, შესაბამისად შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების პროცესში არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოიფხვრა. პროგრამის ფარგლებში უკვე დაწყებულია ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება შეფასების პროცესში. დაწესებულებამ 2024 წლის 27 დეკემბრის 89/24 ბრძანებით დაამტკიცა ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს დაევალა შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ასევე, 2024 წლის 23 დეკემბრის 87/24 ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა. ასევე ცალკეული პროგრამებისთვის რისკ-ფაქტორებზე დაყრდნობით შეირჩა მოდულები ვერიფიკაციისთვის 2024 წლის მიღებისთვის. სამთო ტექნიკოსის პროგრამიდან შეირჩა 4 მოდული შემდეგი რისკფაქტორებით: 1. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი და 2. ინსტრუმენტი, რომელიც ბოლო სამი წელი არ შემოწმებულა. ექსპერტები ასევე გაეცნენ განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებს დასკვნის სახით, რაც წარმოდგენილია სრულყოფილად. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რა მიზეზით მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად, სტანდარტის 4.1.2.3 პუნქტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის გამოკვეთილ ცნობას, მაშინ როცა მოთხოვნა პირდაპირ განსაზღვრულია მოქმედ კანონმდებლობაში და წარმოადგენს სავალდებულო წინაპირობას პერსონალის შერჩევის პროცესში.

ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის სტანდარტებში მოცემული ინდიკატორები აღნიშნულ მოთხოვნას პირდაპირ და ცალსახად არ აყალიბებს, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია განმავითარებელი ფორმით შესთავაზა დაწესებულებას. ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტის ტექსტში ეს მოთხოვნა არაა კონკრეტულად გაწერილი, თავად ექსპერტებიც იზიარებენ მოსაზრებას, რომ ცნობების წარმოდგენა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით

არის კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნა. ექსპერტმა დასძინა, რომ რეკომენდაციის განმავითარებლად ფორმულირება გამიზნული იყო იმისთვის, რათა დაწესებულებას ჰქონოდა შესაძლებლობა დროულად და სრულად დაეცვა აღნიშნული ვალდებულება, თუმცა იგი დარწმუნებულია, რომ დაწესებულებამ უკვე უზრუნველყო მოთხოვნის შესაბამისი შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს პროფიუნიტში "სამთო ტექნიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს პროფიუნიტში (ს/კ: 204436985) "სამთო ტექნიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 10 ოქტომბერი.

**მესამე საკითხი:** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს  და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ საავიაციო უნივერსიტეტი განთავსებულია თბილისში, მას ავტორიზებული აქვს 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის, "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები" და "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა". ამ ეტაპზე უნივერსიტეტმა ცენტრში გააკეთა განაცხადი ამ ორი პროგრამის ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N:61 განხორციელების თაობაზე (სსიპ კოლეჯ იბერიასთან გაფორმებული იჯარის საფუძველზე). აღნიშნული ფართი დაწესებულების მიერ აქამდე არ იყო გამოყენებული ავტორიზაციის მიზნებისთვის, ამდენად, ჯერ განხორციელდა მონიტორინგი და შემდეგ შეფასდა პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ - განათლების ხარისხი 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანების MES 6 25 0001027888 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 9 სექტემბერს განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ქუთაისი ლოკაციაზე (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61) მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე)ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი). ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა(დამტკიცებულია რექტორის მიერ 4 სექტემბერს, 2023 წელი). დამტკიცებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N02/12 5 დეკემბრის, 2023 წლის), დოკუმენტში გაწერილია თითოეული პოზიციის შესაბამისი ფუნქციები და მოვალეობები დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა (ბრძანება N03/05 6 მარტის 2020 წლის), სადაც განსაზღვრულია პერსონალის შერჩევისა და აყვანის წესი. დაწესებულების ჰყავს რექტორი. ქუთაისის ლოკაციაზე დაწესებულებას უმეტესი თანამშრომლები გაზიარებული ყავს თბილისის ფილიალიდან, სამუშაო სისტემა არის ელექტრონული ფორმის, ამიტომ ისინი სამუშაოს ძირითადად შეასრულებენ ონლაინ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ჩამოვლენ ქუთაისის ლოკაციაზე

(ადამიანური რესურსები, საქმის წარმოება, ხარისხის სამსახური, შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი). ადგილზე არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერი, რომლის მოვალეობები მკაფიოდ არის გაწერილი წინარე ხელშეკრულებაში(სასწავლო კურსები, ცხრილების შესაბამისად მიმდინარეობის მონიტორინგი, სტუდენტების ინფორმირება სასწავლო პროცესის საკითხებზე, უნივერსიტეტში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტის, მათში შეტანილი ცვლილებების დამუშავება, და გაცნობა ყველა პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის და სხვა). ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გაფორმდა წინარე ხელშეკრულებები ადგილზე სხვადასხვა მომუშავე ადმინისტრაციული პერსონალისათვის (ბიბლიოთეკარი, დაცვა, დამლაგებელი, მედდა). დაწესებულებაში თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე, დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, შრომის ანაზღაურება ,ზეგანაკვეთური სამუშაო, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი, მივლინება, წახალისება, რეგულირდება შინაგანაწესით (27/11/2017 წელი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ექსპერტის განცხადებით,დაწესებულება - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი მდებარეობს (ს/კ 03.04.32.234) ქალაქ ქუთაისში, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61-ში, აღნიშნულ მისამართზე - სსიპ კოლეჯ „იბერიასთან“ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, მეიჯარე (სსიპ კოლეჯი „იბერია“) სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს (შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი) ფართს, კერძოდ: შენობა-ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული 35.34 კვ.მ. და 36.10 კვ. მ. N2 შენობაში (ერთსართულიანი ნაგებობა) მდებარე 90.45 კვ.მ. და 49.14 კვ. მ. და მასთან მიმდებარე 74.65 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთს, ასევე ბ შენობა N4 20 კვ. მ. ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე მოეწყობა მცირე კონსტრუქციით, მარტივად დასაშლელი მსუბუქი კონსტრუქციის (არამყარი, მარტივად დასაშლელი კონსტრუქცია) ნაგებობა, რომელშიც განთავსდება პრაქტიკული სწავლების სივრცე და რომლის კეთილმოწყობაც განხორციელდება მოიჯარის მიერ. ექსპერტთა მიერ მოხდა სასწავლო ფართის დათვალიერება, კერძოდ: N1 შენობის პირველ სართულზე სასწავლო ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, სადაც განთავსებულია ერთი A და ერთი B სასწავლო გარემოს აუდიტორიები, სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის, N2 შენობაში განთავსებულია ერთი A სასწავლო გარემო, მასწავლებელთა და პროფესიული პროგრამების მენეჯერის სამუშაო ოთახი და საბიბლიოთეკო სივრცე. აქვე გარე სივრცეში დაგეგმილია მოეწყოს დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. N4 ნაგებობა გამოიყენება სანიტარიული კვანძებისთვის, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებობს პანდუსი. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო, სამუშაო და საერთო სივრცეები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით. ადმინისტრაციული სივრცის და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და ჯგუფში ჩასარიცხ პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. დაწესებულებას სარგებლობაში თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი - აღჭურვილობა

(ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა), აპარატურა, სასწავლო გარემო (A, B გარემო) ინვენტარი და ინფრასტრუქტურა, პროგრამების მიხედვით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირია პროგრამის ხელმძღვანელი. . დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. „სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების“ მე-2 მუხლით განსაზღვრულია იმ მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფის ნუსხა, რომლებიც ხელმისაწვდომია დაწესებულების სტუდენტებისთვის. აღნიშნული დოკუმენტით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას პროფესიულ სტუდენტებს სწავლების ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის. ასევე გასაუბრებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილი იქნება სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ისარგებლოს დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, „ბიბლიოთეკის დებულების“ შესაბამისად ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. პროფესიული სტუდენტები ასევე უფლებამოსილნი იქნებიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი და დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცით. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება, ვენტილაცია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში მიმდინარეობს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი. დაწესებულება აღჭურვილია შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მოთხოვნებთან შესაბამისი სისტემებით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და დაცულ გარემოს როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. . დაწესებულებაში სივრცეები გამიჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულებაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეები. დაწესებულების ტერიტორიაზე გამოყოფილია შემოქმედებითი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა. ექსპერტებთან გასაუბრებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ექსპერტის განცხადებით,დაწესებულების რექტორის 2018 წლის 26 თებერვლის N 06/14 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“, რომლითაც რეგულირდება: ბიბლიოთეკის ფუნქციები და ამოცანები; ბიბლიოთეკის სტრუქტურა; ბიბლიოთეკის სივრცე და აღჭურვილობა; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა; ბიბლიოთეკაში გაწევრიანება და სხვა. “ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ გამოკრულია საბიბლიოთეკო სივრცეში, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები მოსარგებლეთათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნებადართულია სასწავლო მასალების ამობეჭდვა ან/და ასლის გადაღება. ბიბლიოთეკაში ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი დაცულია ელექტრონული სახით, რომელიც პროფესიული სტუდენტებისათვის ამავდროულად ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელ. პლატფორმაზე „av.ini.ge“. ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია

საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. წიგნების კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, რომელსაც აქვს, ასევე, ძებნის ფუნქცია. დაწესებულებას წინარე ხელშეკრულების საფუძველზე ყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც განახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკარი საკუთარ სამუშაო პროცესს განახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგებით ირკვევა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, დაწესებულების პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის სწავლისა და შრომის შესაბამისი პირობებია შექმნილი. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული პროგრამების „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების“ და „აეროდრომების ექსპლუატაცია და მშენებლობის“ საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა. რიგი აქტივობები ფინანსდება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისგან. დაწესებულების ბიუჯეტებში განსაზღვრულია დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში მითითებულია სხვადასხვა აქტივობისთვის დაფინანსების წყარო. ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, რომლებმაც დაადასტურეს დაგეგმილი აქტივობების და სამუშაოების წარმართვისთვის ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების საკმარისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით, არსებობდა თუ არა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან.

ექსპერტის განმარტებით, ვინაიდან საავიაციო უნივერსიტეტის ქუთაისის ფილიალი განთავსებულია უკვე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, სსიპ კოლეჯი "იბერიის" შენობაში, დაწესებულებას სრულად გააჩნია აღნიშნული დოკუმენტაცია კოლეჯის ფარგლებშიც. კერძოდ, წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც შესრულებულია სწორედ სსიპ კოლეჯი „იბერიის“ მიერ. შესაბამისად, როგორც კოლეჯი, ისე შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, ამ საერთო ინფრასტრუქტურის ფარგლებში, უზრუნველყოფილია აღნიშნული დოკუმენტით და დაცულია უსაფრთხოების ყველა ნორმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენადაც დაწესებულების საქმიანობა ძირითადად თბილისიდან იმართება, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ადგილზე დასაქმებულია მხოლოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პერსონალი და ბიბლიოთეკარი, რამდენად რეალისტურია, რომ დაწესებულებამ ეფექტურად იფუნქციონიროს თბილისის ადამიანური რესურსით და შეესაბამება თუ არა ეს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ 40-საათიან სამუშაო დატვირთვას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ერთი და იგივე პირები ერთდროულად არიან ჩართულნი როგორც პროფესიულ, ისე აკადემიურ პროგრამებში.

ექსპერტის განმარტებით, ადგილზე წარმოდგენილია ის პერსონალი, რომლის ფიზიკური ყოფნაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელია, მათ შორის მედდა, დამლაგებელი და ბიბლიოთეკარი. აღნიშნული თანამშრომლები სრულად უზრუნველყოფენ ოპერაციულ საჭიროებებს. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადამიანური რესურსების განყოფილებასა და სხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურებს, დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული მართვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პროცესების სრულად დისტანციური ადმინისტრირება თბილისიდან. ადგილობრივი პერსონალი კი უზრუნველყოფს ოპერატიულ კოორდინაციას ადგილზე. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ საკითხზე ადგილზე დაისვა დამატებითი შეკითხვებიც და დაწესებულებამ დაადასტურა, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ წარმოიშვება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი სრულად დაკომპლექტებულია ქუთაისის აეროპორტში მომუშავე ადგილობრივი სპეციალისტებით. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებელი, ხოლო დამატებითი (სათადარიგო) რესურსის სახით მითითებულია თბილისის აკადემიური პერსონალიც. ამდენად, თუკი თბილისის წარმომადგენლების ჩართვა საჭირო არ გახდება, ფილიალს ადგილობრივ დონეზეც აქვს შესაძლებლობა სრულად უზრუნველყოს სასწავლო პროცესის წარმართვა.

საბჭოს თავმჯდომარე ,ასევე, დაინტერესდა მედდის და ბიბლიოთეკარის დატვირთვის საკითხით და მოითხოვა მეტი ინფორმაცია ამ საკითხზე.

ექსპერტის განმარტებით, სსიპ კოლეჯ „იბერიის“ მედდასთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მედდა ემსახურება როგორც კოლეჯის, ისე საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტებს. უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს შესაბამისი ოთახი, რომლის გამოყენებაც სრულად შესაძლებელია როგორც კოლეჯის, ისე უნივერსიტეტის საჭიროებებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ ბიბლიოთეკარის რაოდენობა ერთზე მეტია, შესაბამისად შესაძლებელია მათი როტაციული ჩართვა სხვადასხვა ლოკაციაზე. აღნიშნული სისტემა გამორიცხავს იმ საფრთხეს, რომ ერთი და იგივე პირი ერთდროულად მუშაობდეს ორ დაწესებულებაში ან ორ ადგილას, რაც შრომის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში იქნებოდა. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება საავიაციო უნივერსიტეტის მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ ბიბლიოთეკარი კარგად იცნობდა სივრცეს და ადაპტაციის პროცესი უფრო ეფექტურად წარიმართებოდა. ბიბლიოთეკარები მუშაობენ ცვლებში, რაც უზრუნველყოფს შრომითი საათების დაცვას და პროცედურულ გამართულობას. დაწესებულებას აქვს როგორც ფიზიკური საბიბლიოთეკო სივრცე, ისე ელექტრონული ბიბლიოთეკა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს საჭირო მასალაზე წვდომა ჰქონდეთ ნებისმიერ დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ დაცვის თანამშრომელი განთავსებულია კოლეჯის შენობის შესასვლელში, სადაც ასევე მდებარეობს საავიაციო უნივერსიტეტის აუდიტორიები. აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმებულია დამატებითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაცვის თანამშრომელი უნივერსიტეტის სტუდენტებზეც ავრცელებს ზედამხედველობას. ეს თანამშრომლობა არ ნიშნავს საათობრივი გადაფარვის არსებობას, ვინაიდან დაცვის პოსტი საერთო შესასვლელშია და იგი აკონტროლებს მთლიან შენობას. მსგავსი პრინციპით არის მოწყობილი მედდის მუშაობის პროცესიც, მედდა

ერთსა და იმავე ლოკაციაზე ემსახურება ორივე დაწესებულების სტუდენტებს. ბიბლიოთეკართან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღიარებს საჭიროებას დამატებითი კადრის დამატებისა, რათა სრულად დაიფაროს დღის განმავლობაში არსებული დატვირთვა. თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ორი სასწავლო პროგრამის არსებობის პირობებში, სტუდენტთა ყოფნა შენობაში ძირითადად ნახევარდღიან რეჟიმშია დაგეგმილი, რის გამოც ბიბლიოთეკარის ნახევარი განაკვეთით დასაქმება ამ ეტაპზე საკმარისად ჩაითვალა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში (ს/კ: 206155328) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 10 ოქტომბერი.

**მეოთხე საკითხი:** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს  და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ - განათლების ხარისხი 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანების MES 3 25 0001027902 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 10 სექტემბერს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ქუთაისის ლოკაციაზე (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები“**

ექსპერტის განცხადებით,ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ერთი B , ორი A გარემო, სასწავლო გარემოების აღჭურვილია მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის შესაბამისად. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია, პარტნიორ კომპანიებში. მოხდა პრაქტიკის ობიექტის სრულად დათვალიერება (ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი), ადგილზე ვიზიტისას გამოვლინდა დიდი მზაობა წარმომადგენლების მხრიდან სტუდენტების მისაღებად. ასევე განხორციელდა გასაუბრება ,,შპს თბილისი კარგო სერვისის“ ხელმძღვანელობასთან, მათაც დაადასტურეს მზაობა სტუდენტების მიღების და პრაქტიკის გავლის. . ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა პროგრამებისათვის შემუშავებული სასწავლო ცხრილის პროექტი. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხდება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილება, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო

საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული მასწავლებელი, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში მონაწილეობს 9 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალურად. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე ელექტრონულად უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებელ პირებს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა საჭირო მასალებზე. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი აქვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარს, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს რესურსების მიწოდებას როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის. უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი და სტაბილური განხორციელებისთვის. თითოეული პროგრამისთვის განსაზღვრულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების კომპონენტებს და ითვალისწინებს პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა რესურსს.

ექსპერტის განცხადებით,უნივერსიტეტის პარტნიორებია: საავიაციო სატვირთო ტერმინალი შპს „თბილისი კარგო სერვისი“ და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება. პროგრამის ფარგლებში სამი პროფესიული მოდული (კერძოდ: მგზავრის მომსახურება; ტვირთის მიღება-დასაწყობება; გასაგზავნი ტვირთის ორგანიზება) ხორციელდება შპს „თბილისი კარგო სერვისი“-ში. კომპანია სრულად მოიცავს მოდულების განხორციელებისათვის საჭირო სამუშაო გარემოს, სადაც სტუდენტებისთვის თავისუფლად არის პრაქტიკის გავლა შესაძლებელი. შპს ,,თბილისი კარგო სერვისი“ წარმოადგენს საავიაციო სატვირთო ტერმინალს, რომლის საქმიანობაც წარმოადგენს საავიაციო რეგულირების საგანს, შესაბამისად სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლა განხორციელდება სტანდარტიზებულ გარემოში, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების სრული დაცვით. ვინაიდან პრაქტიკის ობიექტის ადგილმდებარეობა არის თბილისი, დაწესებულება თავად დააორგანიზებს სტუდენტების გადაადგილებას პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკის ობიექტისა და სტუდენტის ურთიერთთანამშრომლობა. დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნული სამი მოდულის (ტვირთის მიღება – დასაწყობება, ტვირთის მიღების აგენტი, გასაგზავნი ტვირთის ორგანიზება) ქუთაისში განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ადგილის მოწყობა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში პარალელურად ხორციელდება. პრაქტიკის ადგილის მოწყობა იგეგმება სტუდენტთა მიღებამდე. ადგილზე ვიზიტის დროს აღნიშნული დაადასტურეს ქუთაისის აეროპორტის წარმომადგენლებმაც. ყველა დანარჩენ მოდულს სრულიად მოიცავს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი პრაქტიკის განსახორციელებლად. პარტნიორი კომპანიები უზრუნველყოფენ: უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების შესრულებას, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სახარჯი მასალით მომარაგებას, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, სერტიფიცირებული ინსტრუქტორების გამოყოფას. აღნიშნული ორგანიზაციები სრულად აცნობიერებენ დარგში არსებულ

გამოწვევებს, ასევე პროფესიული განათლების მიზნებსა და მნიშვნელობას. ისინი გამოხატავენ მზაობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში. მათთვის მნიშვნელოვანი მოტივატორია საკუთარი კომპანიისთვის კადრების შერჩევისა და მომზადების შესაძლებლობა. პარტნიორი დაწესებულებების საქმიანობა დადასტურებულია ოფიციალური ნებართვებით. უნივერსიტეტი პრაქტიკის ობიექტებს ირჩევს საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დადასტურებული ლიცენზიების საფუძველზე. შერჩევის მთავარი კრიტერიუმია სწორედ აღნიშნული შესაბამისობა. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს: კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. უზრუნველყოს ინსტრუქტორ(ებ)ის, კოორდინატორის ან განმახორციელებელი პირ(ებ)ის გამოყოფა, რომლებიც უხელმძღვანელებენ სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას და გაუწევენ მათ მხარდაჭერას. შეფასების პროცესში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება ექსპერტების მიერ და გასაუბრება პრაქტიკის ხელმძღვანელთან. შედეგად დადგინდა, რომ: პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით; გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხსა და ეფექტიანობას. პრაქტიკის ობიექტები, მათი საქმიანობის პრინციპიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტების სწავლება განხორციელდეს როტაციის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა სტუდენტის თანაბარ ჩართულობას სხვადასხვა სამუშაო პროცესში და სწავლების პროცესის მაქსიმალურად მრავალმხრივ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მოწყობას. უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის პროფესიულ განათლებაში ჩართულობა წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ აქტს, არამედ რეალურ პრაქტიკულ საჭიროებას – კომპეტენტური კადრების შერჩევისა და მომზადების საშუალებას. პარტნიორები ღიად გამოხატავენ ინტერესს, რომ წარმატებული და მაღალკვალიფიციური სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკის განმავლობაში გამოავლენენ მაღალი აკადემიური და პრაქტიკული შედეგებს, მომავალში გახდნენ მათი კომპანიის თანამშრომლები. ეს პრაქტიკა აძლიერებს პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის კავშირს, ზრდის სტუდენტთა დასაქმებადობას და ხელს უწყობს დარგობრივი სექტორის განვითარებას.

დარგის ექსპერტის განცხადებით, როგორც ქუთაისის, ასევე თბილისის აეროპორტები სერტიფიცირებული ობიექტებია და სრულად აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს. ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა როგორც ინფრასტრუქტურის საერთო დათვალიერება, ასევე შიდა სამზარეულოსა და შიდა ინფრასტრუქტურული პირობების შესწავლა. ექსპერტის განმარტებით, მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა შესულიყვნენ სარეჟიმო ტერიტორიაზე, შეზღუდულ ზონაში, სადაც დააკვირდნენ ბარგის მიღებისა და გაგზავნის სრულ პროცესს, მათ შორის — ბარგის დამუშავების ეტაპებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას მას ჰქონდა რამდენიმე შეკითხვა, რომელიც უშუალოდ პრაქტიკული პროცესის რეალურ გარემოში განხორციელებას ეხებოდა, ვინაიდან თავად მრავალი წელია მუშაობს ავიაციის ინდუსტრიაში და კარგად იცნობს როგორც ქუთაისის აეროპორტის, ისე თბილისის აეროპორტის ოპერაციულ სტრუქტურას, ასევე მენეჯმენტის წარმომადგენლებს. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ინდუსტრიაში ხანგრძლივი საქმიანობის გამოცდილება აძლევს შესაძლებლობას ობიექტურად შეაფასოს არსებული ინფრასტრუქტურა, ტვირთბრუნვის მოცულობა, მგზავრთა ნაკადისა და ოპერაციული დატვირთვის დონე. მისი თქმით, სწორედ ამ პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე დაინტერესდა, რამდენად რეალისტურია სტუდენტების პრაქტიკული მომზადება აეროპორტის მაღალი დატვირთვის პირობებში. მაგალითად, როდესაც ერთდროულად მიმდინარეობს მასობრივი რეგისტრაცია, მგზავრთა ნაკადი დიდია და რეგისტრაციის ოფიცრებს უწევთ ინტენსიური ოპერაციების შესრულება, ასეთ დროს თანამშრომელს პროფესიული

სტუდენტისთვის ზედამხედველობის განხორციელება უჭირს, ვინაიდან ის მთლიანად პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობაზეა პასუხისმგებელი. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე აეროპორტების გაერთიანებამ წარმოადგინა განმარტება, რომ ორივე აეროპორტს ჰყავს შიდა სტაფი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების პრაქტიკის პროცესზე და მათზე ზედამხედველობაზე. გარდა ამისა, ორივე ობიექტს გააჩნია შიდა ტრენინგ ცენტრი, სადაც ხორციელდება შესაბამისი კადრების გადამზადება და მომზადება იმისათვის, რომ მსგავს სამუშაო გარემოში შეძლონ სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართვა ისე, რომ არ დაირღვეს არც უსაფრთხოების და არც ოპერაციული წესები. აეროპორტების წარმომადგენლებმა დაადასტურეს მზაობა, საჭიროებისამებრ გამოყონ სპეციალური პირები, რომლებიც იქნებიან პასუხისმგებელი სტუდენტების პრაქტიკის პროცესზე და მათთვის სამუშაო გამოცდილების გაზიარებაზე. დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ზოგადად ავიაციის სფერო საქართველოში სპეციფიკური და მცირე მასშტაბის ინდუსტრიას წარმოადგენს, რაც განპირობებულია ქვეყნის მასშტაბით და ბაზრის მოცულობით. შესაბამისად, ქუთაისის აეროპორტში დღემდე არ არსებობდა საჭიროება სატვირთო ტერმინალის ფუნქციონირებისთვის, თუმცა იმ ცვლილებების ფონზე, რაც ამჟამად მიმდინარეობს, აღნიშნული საჭიროება უკვე რეალურად იჩენს თავს. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაახლოებით წელიწადნახევრის წინ თავად ესწრებოდა ქუთაისის აეროპორტში გამართულ შეხვედრას, სადაც იმ პერიოდში იგეგმებოდა პირველი სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოების დაწყება. აღნიშნულ შეხვედრაზე იმყოფებოდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ინდუსტრიის სხვადასხვა წარმომადგენელი და სპეციალისტი პირები. მიღებული ინფორმაცია და წარმოდგენილი გეგმა მიუთითებს, რომ 2030 წლისთვის ქუთაისის აეროპორტში მოსალოდნელია მგზავრთა ნაკადის მინიმუმ სამჯერ გაზრდა, რის გამოც უკვე დაწყებულია ინფრასტრუქტურული განვითარების მასშტაბური სამუშაოები, მათ შორის — მეორე ასაფრენ–დასაფრენი ზოლის მშენებლობა, რომლის სიგრძე სამ კილომეტრამდე იქნება. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნული ტენდენციები ქმნის აუცილებლობას, რომ აეროპორტს ჰყავდეს შესაბამისი კადრები — აეროდრომის სპეციალისტები, მგზავრთა მიღებისა და გაგზავნის ოფიცრები, ბარგის დამუშავებისა და ტვირთის მომსახურების თანამშრომლები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქუთაისის რეგიონში ამ მიმართულებით პროფესიული განვითარების დიდი პოტენციალია. ექსპერტმა ასევე ისაუბრა, რომ აეროპორტის ხელმძღვანელობასთან გამართულ შეხვედრაზე თავად დასვა კითხვა — რამდენად რეალისტურია სატვირთო ტერმინალის აშენება და როდის ელოდებიან მისი ამოქმედების დასრულებას. ქუთაისის აეროპორტის დირექტორმა განმარტა, რომ მასტერგეგმა წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტს, ვინაიდან აეროპორტი ითვლება სტრატეგიულ ობიექტად და დეტალური გეგმის საჯარო გამოქვეყნება შეუძლებელია, თუმცა მან სრულად დაადასტურა, რომ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს და გეგმების მიხედვით აშენდება სატვირთო ტერმინალი. დირექტორის განცხადებით, სამუშაოები უკვე დაწყებულია, გრაფიკი დაცულია და ყველაფერს გააკეთებენ, რომ პროექტი დასრულდეს მანამ, სანამ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ამოქმედდება. დარგის ექსპერტის თქმით, მანამდე, ვიდრე ქუთაისის აეროპორტში სატვირთო ტერმინალი ამოქმედდება, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ტრანსპორტირებას თბილისში, რათა სატვირთო მომსახურების მოდულებზე პრაქტიკული სწავლება განხორციელდეს თბილისის აეროპორტში. აღნიშნული განხორციელდება „თბილისი კარგო სერვისის“ ბაზაზე — ეს არის სერტიფიცირებული საავიაციო საწარმო, რომელიც ახორციელებს როგორც შემომავალ, ისე გამსვლელ ტვირთის დამუშავებას და რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. დასასრულს, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ არსებული მონაცემებისა და აეროპორტის წარმომადგენელთა განმარტებების მიხედვით, ინფრასტრუქტურული განვითარების სამუშაოები მიმდინარეობს დაგეგმილი ვადების შესაბამისად და არ იკვეთება შეფერხების რისკი. შესაბამისად, ქუთაისის აეროპორტის განვითარების ტემპი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო პირობები

სრულად იქნება შექმნილი პროგრამის ამოქმედებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, ინსტრუქტორის გამოყოფა სტუდენტებისთვის როგორია პრაქტიკის პროცესში — ვინ უნდა უზრუნველყოს ინსტრუქტორი, თავად უნივერსიტეტმა თუ აეროპორტმა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აეროპორტების გაერთიანება თავად იღებს პასუხისმგებლობას სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების უზრუნველყოფაზე და საჭიროებისამებრ თავად გამოყოფს შესაბამის პერსონალს. მისი განმარტებით, ამასთან დაკავშირებით აეროპორტის წარმომადგენლებთან შედგა სიტყვიერი შეთანხმება და მიღებული იქნა განმარტება, რომ საჭიროების შემთხვევაში აეროპორტი უზრუნველყოფს შესაბამისი პირის გამოყოფას სტუდენტთა ზედამხედველობისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკრეტული ინდივიდუალური სახელშეკრულებო პირების განსაზღვრა არ არის რელევანტური, რადგან აეროპორტში კადრების ცვლა საკმაოდ მაღალია, შესაძლოა დღეს აქტუალური თანამშრომელი ხვალ აღარ იყოს ადგილზე. შესაბამისად, მისთვის საკმარისი იყო ის მტკიცებულება, რომ აეროპორტს ფუნქციურად გააჩნია შესაბამისი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროცესზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ გაფართოებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განპირობებულია მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებითა და მგზავრთა ნაკადის ზრდით, თუ არსებობს კონკრეტული ეკონომიკური და ტვირთბრუნვასთან დაკავშირებული ფაქტორებიც, რომლებმაც განაპირობა ტერმინალის დამატების საჭიროება.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პროცესი რეალურად უკავშირდება ტვირთბრუნვისა და სამგზავრო ნაკადის მნიშვნელოვან ზრდას, რაც ბოლო წლებში მკვეთრად შეინიშნება. მისი თქმით, 2024 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით, მიმდინარე წელს ტვირთბრუნვა დაახლოებით 72%პროცენტით გაიზარდა, რაც თითქმის ორმაგ მაჩვენებელს წარმოადგენს. მისივე განმარტებით, ტვირთბრუნვის ზრდა მნიშვნელოვნად უკავშირდება სხვადასხვა საერთაშორისო და შიდა ოპერატორების ჩართვას, რომლებიც ზრდიან საქართველოში შემომავალი ტვირთების მოცულობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თბილისის აეროპორტში, განსაკუთრებით ღამის საათებში, მგზავრთა ნაკადი საგრძნობლად მომატებულია, მაშინ როცა ორი წლის წინ რეგისტრაციის დახლთან საშუალოდ 20-მდე მგზავრი იდგა, ახლა რიგები მრავალჯერ არის გაზრდილი. ექსპერტის განცხადებით, მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა იმაზე, რომ ქუთაისის აეროპორტი მომავალში გახდეს ქვეყნის მეორე საერთაშორისო ჰაბი. ამჟამად ძირითადი სატვირთო და სამგზავრო ცენტრი თბილისია, რაც გამოწვეულია საქართველოს ლოგისტიკური სისტემის სტრუქტურით. კერძოდ, საქართველოში მოქმედი სატვირთო კომპანიები ტვირთის ძირითად ნაწილს თბილისში იღებენ, სადაც განთავსებულია მათი სერვისცენტრები და სათაო ოფისები, ხოლო შემდგომ დასავლეთის მიმართულებით განახორციელებენ დისტრიბუციას, რაც საშუალებას აძლევს პროცესები ცენტრალიზებულად და ოპტიმიზებულად წარიმართოს. დარგის ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ქუთაისში სავაჭრო ზონის შექმნის შემდეგ დაიწყო სატრანსპორტო ჰაბების განვითარებაზე მსჯელობა. უკვე 2019 წლიდან არსებობდა მცდელობა სატვირთო ტერმინალის აშენების მიმართულებით, გამოცხადდა ტენდერებიც, თუმცა იმ პერიოდში კერძო სექტორი მზად არ იყო პროექტში აქტიურად ჩასართავად. მისი თქმით, მხოლოდ გასული წლის აგვისტოს შემდეგ დაიწყო რეალური სამუშაოები აეროპორტების გაერთიანების მიერ, რაც უკვე

მოჰყვა მგზავრთა ნაკადის 40%-იან ზრდას, ხოლო მიმდინარე წელს ზრდა გაორმაგებულია, რაც მკაფიოდ მიუთითებს ქუთაისის აეროპორტის განვითარების პერსპექტივაზე და დამატებითი ინფრასტრუქტურის საჭიროებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკა გიგაშვილმა, კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, სტუდენტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, თუკი გარკვეული მოდულების ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკა უნდა განხორციელდეს თბილისში, გათვალისწინებულია თუ არა აღნიშნული ხარჯი დაწესებულების ბიუჯეტში, ვინაიდან საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ წვდომა საპროგნოზო ბიუჯეტთან და აინტერესებდათ, დაფიქსირებულია თუ არა ეს ფინანსურად, თუ მხოლოდ სიტყვიერად არის შეთანხმებული.

დარგის ექსპერტის განმარტებით, იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც წარმოდგენილი იყო სტუდენტებთან გასაფორმებლად, ასახულია შესაბამისი პუნქტები, სადაც მითითებულია, რომ ზოგიერთ მოდულზე პრაქტიკის გავლა შესაძლებელია თბილისის აეროპორტში. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტთა ინფორმირებულობას და უნივერსიტეტის ვალდებულებას უზრუნველყოს ტრანსპორტირების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პრაქტიკული მოდული ქუთაისში ვერ განხორციელდება. ექსპერტის განმარტებით, შესაბამისად, უნივერსიტეტი აცნობიერებს ამ საჭიროებას და უკვე ასახულია შესაბამისი დებულება სტუდენტურ დოკუმენტაციაში, რაც ადასტურებს პროცესის დაგეგმილ და გააზრებულ ხასიათს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები“ **(დანართი 1).** გა დაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 10 ოქტომბერი.

**მეხუთე საკითხი:** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს  და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ - განათლების ხარისხი 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანების MES 6 25 0001027914 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 11 სექტემბერს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის

მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა"**
ექსპერტის განცხადებით,ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ერთი B , ორი A გარემო, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. სასწავლო გარემოების აღჭურვილია მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის შესაბამისად. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია, როგორც პარტნიორ კომპანიებში. კერძოდ (ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი). ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა პროგრამებისათვის შემუშავებული სასწავლო ცხრილის პროექტი. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხდება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილება, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 21 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. .საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი და სტაბილური განხორციელებისთვის. თითოეული პროგრამისთვის განსაზღვრულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების კომპონენტებს და ითვალისწინებს პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა რესურსს. დაწესებულებაში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის მექანიზმები, რომელთა მიზანია სწავლის შედეგების შესაბამისობის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან. ასევე, აღნიშნული მექანიზმები უწყობს ხელს პრობლემების იდენტიფიკაციას და საჭირო ღონისძიებების დროულ გატარებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მის უწყვეტ გაუმჯობესებას. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას აქვს შემუშავებული დოკუმენტი Maintenance Training Organisation Exposition, რომელიც ასახავს ხარისხის მენეჯმენტის სისტემას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს ავიაციის სპეციალისტთა მომზადების პროცესების მართვისა და მონიტორინგის წესებს. დოკუმენტის მიხედვით, აუცილებელია შიდა აუდიტების ჩატარება. დაწესებულებაში დასაქმებულია სერტიფიცირებული აუდიტორი, რომელიც აუდიტების ჩატარებას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული წლიური გეგმის შესაბამისად. აუდიტი მოიცავს პერსონალის, სასწავლო პროცესების და მასთან დაკავშირებული რესურსების შემოწმებას. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა "პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ,,საქართველოს

აეროპორტების გაერთიანება“ არის დადებული მემორანდუმი 2021 წლის 7 აპრილს. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი პარტნიორი კომპანიები უზრუნველყოფენ: უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების შესრულებას, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სახარჯი მასალით მომარაგებას, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, სერტიფიცირებული ინსტრუქტორების გამოყოფას. აღნიშნული ორგანიზაციები სრულად აცნობიერებენ დარგში არსებულ გამოწვევებს, ასევე პროფესიული განათლების მიზნებსა და მნიშვნელობას. ისინი გამოხატავენ მზაობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში. მათთვის მნიშვნელოვანი მოტივატორია საკუთარი კომპანიისთვის კადრების შერჩევისა და მომზადების შესაძლებლობა. პარტნიორი დაწესებულებების საქმიანობა დადასტურებულია ოფიციალური ნებართვებით. უნივერსიტეტი პრაქტიკის ობიექტებს ირჩევს საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დადასტურებული ლიცენზიების საფუძველზე. შერჩევის მთავარი კრიტერიუმია სწორედ აღნიშნული შესაბამისობა. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს: კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას; უზრუნველყოს ინსტრუქტორ(ებ)ის, კოორდინატორის ან განმახორციელებელი პირ(ებ)ის გამოყოფა, რომლებიც უხელმძღვანელებენ სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას და გაუწევენ მათ მხარდაჭერას. შეფასების პროცესში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება ექსპერტების მიერ და გასაუბრება პრაქტიკის ხელმძღვანელთან. შედეგად დადგინდა, რომ: პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით; გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხსა და ეფექტიანობას. პრაქტიკის ობიექტები, მათი საქმიანობის პრინციპიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტების სწავლება განხორციელდეს როტაციის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა სტუდენტის თანაბარ ჩართულობას სხვადასხვა სამუშაო პროცესში და სწავლების პროცესის მაქსიმალურად მრავალმხრივ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მოწყობას. უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის პროფესიულ განათლებაში ჩართულობა წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ აქტს, არამედ რეალურ პრაქტიკულ საჭიროებას – კომპეტენტური კადრების შერჩევისა და მომზადების საშუალებას. პარტნიორები ღიად გამოხატავენ ინტერესს, რომ წარმატებული და მაღალკვალიფიციური სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკის განმავლობაში გამოავლენენ მაღალი აკადემიური და პრაქტიკული შედეგებს, მომავალში გახდნენ მათი კომპანიის თანამშრომლები. ეს პრაქტიკა აძლიერებს პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის კავშირს, ზრდის სტუდენტთა დასაქმებადობას და ხელს უწყობს დარგობრივი სექტორის განვითარებას.

დარგის ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს შრომის ბაზრისთვის, ვინაიდან ის მოიცავს ისეთ სპეციალობებსა და კომპეტენციებს, რომელთა გადამზადება აქამდე პრაქტიკულად არ ხდებოდა, სანამ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა არ მოიპოვა პროგრამის განხორციელების უფლება ავტორიზაციის გზით. ექსპერტის თქმით, სწორედ ამ პროგრამის ამოქმედებამ შექმნა შესაძლებლობა ქვეყანაში განევითარებინა ის მიმართულებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აეროდრომების ექსპლუატაციას, ინფრასტრუქტურულ მომსახურებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა განვითარების არსებული პოტენციალი პრაქტიკულად უკვე ამოწურა, მისი ინფრასტრუქტურა სრულად ათვისებულია და ამ ეტაპზე მხოლოდ პერიოდული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. განსხვავებით თბილისისგან, ქუთაისის აეროპორტში მიმდინარეობს ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც მოითხოვს ახალ კადრებსა და ტექნიკურ პერსონალს. შესაბამისად, სპეციალისტების მოთხოვნა ქუთაისის რეგიონში აშკარად თვალსაჩინოა,

განსაკუთრებით აეროპორტებისა და აეროდრომების მომსახურების მიმართულებით. ექსპერტის განმარტებით, მისი მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროგრამის შინაარსზე, თუ რა მოდულებს მოიცავს იგი, რამდენად რელევანტურია სასწავლო მოდულები და შეესაბამება თუ არა ისინი საერთაშორისო სტანდარტებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა სრულად არის სტანდარტიზებული და დაფუძნებულია საერთაშორისო ნორმატიულ ჩარჩოებზე. მისი თქმით, მსოფლიოში მოქმედებს მრავალი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს აეროდრომების დაგეგმვის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების წესებს. მათ შორის ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტად დასახელდა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) მიერ მიღებული რეგულაციები, რომლებიც ადგენს სტანდარტებს აეროდრომების ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, უსაფრთხოების სისტემების და მათი ფუნქციონირების მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს აეროდრომების კლასიფიკაციას, მათი ზომისა და დანიშნულების მიხედვით. ექსპერტის განმარტებით, ქუთაისის აეროპორტი უკვე ატარებს საერთაშორისო აეროპორტის სტატუსს და ამჟამად მიმდინარეობს მისი ინფრასტრუქტურის სრულად ახალი, მაღალი ტექნოლოგიური ბაზის მშენებლობა. ქუთაისის აეროპორტის განახლებული პროექტი მოიცავს თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობას და უფრო მაღალ ტექნოლოგიურ დონეს, ვიდრე დღეს თბილისის აეროპორტშია დანერგილი. მაგალითად, დაგეგმილია ისეთი სისტემების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითმფრინავის მიღებას ნულოვანი ხილვადობის პირობებშიც, ასევე, ავტომატური დაფრენის სისტემების დანერგვა და სხვა მაღალი დონის ტექნოლოგიების გამოყენება. აღნიშნული ახალი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა მოითხოვს სპეციალურად გადამზადებულ ტექნიკურ პერსონალს, რომელიც შეძლებს ამ სისტემების მოვლასა და სარეგლამენტო მომსახურებას. სწორედ ამიტომ, ასეთი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარები, დღეს უკვე არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. მისი თქმით, ქუთაისში მიმდინარე სამშენებლო და ტექნოლოგიური პროექტებიდან გამომდინარე, კადრების საჭიროება უკვე რეალურად არსებობს, და ამ კუთხით პროგრამის დროული ამოქმედება სრულად ამართლებს მიზანს. დარგის ექსპერტის შეფასებით, რაც პრაქტიკის თვალსაზრისით იქნა დათვალიერებული, ქუთაისის აეროპორტის ინფრასტრუქტურა და მიმდინარე სამუშაოები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ქმნის ყველა საჭირო წინაპირობას სტუდენტებისთვის რეალური სამუშაო გარემოს შესაძენად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, თუ რამდენად საკმარისია ICAO-ს (იკაოს) რეგულაციებით ხელმძღვანელობა ქუთაისის აეროპორტის განვითარების პროცესში, მაშინ როცა იქ იგეგმება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინფრასტრუქტურის გაფართოება. თავმჯდომარემ დააზუსტა, საჭირო გახდება თუ არა დამატებითი საერთაშორისო მარეგულირებლების ჩართვა, თუ იკაოს სტანდარტები სრულად ფარავს საჭირო მოთხოვნებს.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აეროდრომების სერტიფიცირების მიმართულებით ICAO-ს (იკაოს) გააჩნია ერთიანი სტანდარტი და მხოლოდ ერთი ძირითადი დანართი, რომელიც მოიცავს ყველა არსებით მოთხოვნას აეროდრომების დაგეგმვისა და ექსპლუატაციის შესახებ. ამ დანართს თან ერთვის დამატებითი ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც კონკრეტულად განსაზღვრავენ აეროდრომების მომსახურებისა და უსაფრთხოების პროცესებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, ქუთაისის აეროპორტში სტუდენტებს ექნებათ უფრო ფართო შესაძლებლობა, ვიდრე თბილისში, რადგან იქ შეძლებენ ახალი ტექნოლოგიური სისტემების მუშაობის პროცესის უშუალოდ ნახვას და მათთან დაკავშირებული ტექნიკური

ოპერაციების შესწავლას. სხვა დამოუკიდებელი საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც იკაოს სტანდარტებს აჭარბებს ან მათთან პარალელურად გამოიყენება, არ არსებობს. ეროვნული დოკუმენტაცია, რომელიც საქართველოში მოქმედებს აეროდრომების სერტიფიცირების მიმართულებით, ფაქტობრივად წარმოადგენს იკაოს კონვენციის დანართების ადაპტირებულ ვერსიას და არსობრივად იდენტურია საერთაშორისო მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა“ **(და ნართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 10 ოქტომბერი.

**მეექვსე საკითხი:** სსიპ - კოლეჯისთვის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ,,გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ხაჩიძე, მიესალმა დამსწრე პირებს  და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2025 წლის 4 აგვისტოს წარდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "გრაფიკული დიზაინი" დამატების შესახებ, რომელშიც, ასევე, ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2025 წლის 20 აგვისტოს გამოიცა ბრძანება N MES 8 25 0001002012 ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა გრაფიკული დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, კოლეჯში ვიზიტის განხორციელება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმდა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 5 სექტემბერს (ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3). ვიზიტის ფარგლებში, დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; პროგრამის ხელმძღვანელთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯის რესურსების გამტარუნარიანობის შეფასება; შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ასევე შესყიდვის დოკუმენტაცია და მარეგულირებელი დოკუმენტები. ვიზიტის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. ვიზიტის ბოლოს, შეჯამებული სახით, დაწესებულების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მიეწოდა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

1. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, დაწესებულების მიერ განხორციელებული პროცესების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ სასურველია რეგულაციით იკვეთებოდეს, როგორ და ვის მიერ შეიძლება განხორციელდეს პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივის წარდგენა, რა ეტაპზე ხდება პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენა, როგორ და რა ეტაპზე ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილობითი თანხმობის მიღება პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ, პროგრამის მომზადება ევალება ყოველ კონკრეტულ შემთხვევებისთვის შემუშავებულ და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ჯგუფს, თუ მუდმივმოქმედ ჯგუფს, როგორ და რა ეტაპზე ხდება პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრა და დამტკიცება.
2. პროგრამაზე შერჩევის/ჩარიცხვის პროცედურები შეფასდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან და გამოიკვეთა შემდეგი: § სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულება (მე-3 და მე-4 დონე) არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომლითაც დაწესებულება უფლებამოსილია ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე) ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ ცვლილება შეიტანოს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში და განსაზღვროს აღნიშნული შესაძლებლობა.

**2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ზოგად და პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია, რომ მათ სწავლება უნდა განახორციელონ პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ითხოვს როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული მიდგომით პროგრამის განხორციელებას, სასურველია ხელშეკრულებით იკვეთებოდეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამაზე სწავლებას განახორციელებენ როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული მიდგომით. დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და მზაობა გამოთქვა, შესაბამისი ცვლილება ასახოს გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რადგან ისინი პროგრამის განმახორციელებლებად მოიაზრებიან როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული მიდგომით. ექსპერტთა ვიზიტის დროს პროფესიული მოდულების ორი განმახორციელებელი პირის პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით არ დასტურდებოდა მოდულებით განსაზღვრული გრაფიკული პროგრამების ცოდნა და გამოცდილება. კოლეჯმა ვერ შეძლო მათთან დაკავშირება დისტანციურად ჩართვის მიზნით, ამიტომ მათი მიიღეს პროგრამიდან ამ პირების ამოღების გადაწყვეტილება. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს 2 პროფესიული განათლების მასწავლებლის პროგრამიდან და შესაბამისი დანართიდან ამოღება.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ უმეტესი მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის შეფასებისას, დაწესებულებამ 2 პროფესიული განათლების მასწავლებლის პროგრამიდან ამოღების მზაობა გამოთქვა, რადგან მათ პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით არ დასტურდებოდა მოდულებით განსაზღვრული გრაფიკული პროგრამების ცოდნა და გამოცდილება. შესაბამისად, მიზანშეწონილია

დაწესებულებამ უზრუნველყოს 2 პროფესიული განათლების მასწავლებლის პროგრამიდან ამოღება.
5. პროგრამის რამდენიმე პროფესიულ მოდულში მითითებულია სწავლის შედეგების თემატიკების შესაბამისი ქართულენოვანი სასწავლო რესურსი. რაც შეეხება, პროფესიულ მოდულებს: ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება"; ,,ვექტორული გრაფიკა CorelDRAW"; ,,ციფრული და ბეჭდური პუბლიკაციის მაკეტის შექმნა InDesign"; ,,დოკუმენტის ვიზუალური მასალით გაფორმება და ბეჭდვისთვის მომზადება"; ,,ვიზუალური ბრენდინგისა და იდენტობის შექმნა"; ,,UI/UX პრინციპები და შესავალი"; ,,თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში"; ,,2D ანიმაციის პრინციპები"; ,,პრაქტიკული პროექტი/პორტფოლიო" და ,,გრაფიკული დიზაინის გამოყენება თამაშების შექმნასა და სამგანზომილებიან გრაფიკაში" - მითითებული აქვს მხოლოდ ინგლისურენოვანი ლინკები და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. ექსპერტებთან გასაუბრებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა, მოდულების განმახორციელებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვეს მზაობა ქართულენოვანი სასწავლო რესურსის შექმნის და მოძიების შესახებ. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწესებულებამ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, უზრუნველყოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსის შექმნა-მოძიება სწავლის შედეგების თემატიკების მიხედვით.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „გრაფიკული დიზაინი" შემუშავებულია სასწავლო გეგმები ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომით, როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. წარმოდგენილ სასწავლო გეგმებში არ არის გათვალისწინებული პროფესიული მოდულების ლოგიკური თანმიმიმდევრობა. კერძოდ, პროფესიული მოდული ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება", მიზანშეწონილია ისწავლებოდეს პროგრამის დასაწყისში და გრძელდებოდეს რამოდენიმე კვირას, რადგან ნათლად შეძლონ პროფესიულმა სტუდენტებმა პროგრამის სპეციფიკის დანახვა, ფერის თეორიისა და ტიპოგრაფიის გამოყენება დიზაინის შესაქმნელად, დიზაინის პრინციპების გამოყენება გრაფიკული ნამუშევრების შესაქმნელად, კომპოზიციის აგების კანონზომიერების ანალიზი და პროფესიულმა სტუდენტებმა, ამ მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნა, გამოიყენონ გრაფიკული პროგრამების შესწავლისას. აღნიშნული მოდული გათვალისწინებული იყო პროგრამის ხანგრძლივობის 66 სასწავლო კვირიდან - 47 სასწავლო კვირის განმავლობაში. ასევე, პროფესიული მოდული ,,ციფრული და ბეჭდური პუბლიკაციის შექმნა Adobe InDesign" გათვლილი იყო 66 სასწავლო კვირიდან - 36 სასწავლო კვირის განმავლობაში, რაც უარყოფითად იმოქმედებს სწავლის ხარისხზე და პროფესიული სტუდენტებისთვის დამღლელი იქნება. აღნიშნული მოდულის ეფექტური ათვისებისთვის, რეკომენდირებულია ისწავლებოდეს ,,რასტრული გრაფიკა 1 (Adobe Photoshop)" და ,,რასტრული გრაფიკა 2 (Adobe Photoshop)"-ს მოდულების დასრულების შემდეგ, ვექტორული პროგრამების პარალელურად. ასევე, სასწავლო გეგმების მიხედვით, მოდულები „ინგლისური ენა" (34 სასწავლო კვირა) და „დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისათვის" (49 სასწავლო კვირა) პროგრამის დასაწყისში ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად ისწავლება. ასეთმა მიდგომამ შესაძლოა სასწავლო პროცესი გაართულოს. იმისათვის, რომ სტუდენტებმა უცხო ენის ცოდნა ეფექტურად გამოიყენონ გრაფიკული პროგრამების ასათვისებლად, რეკომენდებულია, შემჭიდროვებულ ვადებში გაიარონ მოდული „უცხოური ენა", ხოლო შემდეგ, დაიწყონ პროფესიული მოდული „დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისათვის". ეს მიდგომა პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას მისცემს, ინგლისური ენის ცოდნა უფრო ეფექტურად გამოიყენონ გრაფიკულ პროგრამებთან მუშაობისას. ასევე, მოდულის ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება" საკონტაქტო საათში ფიქსირდება მცირე ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, არაინტეგრირებული მიდგომით პროგრამის განხორციელებისას არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის

შემუშავებული სასწავლო გეგმის საკონტაქტო საათში უნდა გაიწეროს 93 საათი (85+8 საათი), 83-ის ნაცვლად. საათების რაოდენობა სასწავლო კვირებზე სწორად არის გადანაწილებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმებში დაცული იყოს მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა, სწავლების ხანგრძლივობები და გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.
6. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ზომებს, რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების შემუშავება, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ და ციფრულ უსაფრთხოებასაც. სწორად მოწყობილი სამუშაო ადგილი, შესვენებები და მონაცემთა დაცვა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამუშაო პირობებს, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება სტუდენტის პროფესიულ წარმატებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეიმუშაოს გრაფიკული დიზაინერისთვის განკუთვნილი უსაფრთხო სამუშაო გარემოს ინსტრუქციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება სამ ძირითად ასპექტზე: ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ციფრული უსაფრთხოება.

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**
1. კოლეჯის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის დებულება“ შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის N48/ნ ბრძანებაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ შესულ ცვლილებებთან, რომელიც განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 18 აგვისტოს ბრძანებით №69/ნ - 19.08.2025წ. გარდამავალი დებულებით განსაზღვრულია, რომ „დაწესებულებებმა, რომლებთან მიმართებითაც მიმდინარეობს ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება ან პირველად მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უფლების მოპოვებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.“ შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ, ვადების დაცვით, უზრუნველყოს შიდა წესის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“**
**დასაბუთება.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ სრულად განხორციელდება სსიპ კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (გურამ ფანჯიკიძის N3, ქ. თბილისი, 0160, საქართველო) იმიტირებულ გარემოში და პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ დგას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები განხორციელდება A, B და C გარემოში, რომელიც მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეულია 7 აუდიტორია, მათ შორის 2 აუდიტორია განსაზღვრულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლებისთვის. ასევე, დამატებით სატრენაჟორო დარბაზი გათვალისწინებულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტი“

განსახორციელებლად. პროგრამით განსაზღვრული მოდულების განსახორციელებლად გათვალისწინებული აუდიტორიები აღჭურვილია ჯგუფში 14 პროფესიული სტუდენტისთვის აუცილებელი ინვენტარი/აღჭურვილობით, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპიუტერებით, დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, ფერადი და შავ-თეთრი საბეჭდი მოწყობილობებით, პროფესიული სტუდენტების სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდით და სკამით. პროფესიული მოდულის ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება“ განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარით ასევე დაკომპლექტებულია C გარემო, სადაც განთავსებულია 14 პროფესიული სტუდენტისთვის სახატავი სადგამები (მოლბერტები), სამხატვრო სკამი (ტუმბო), სახატავი დაფები, ნატურმორტის დასადები მაგიდები, თაბაშირის გეომეტრიული სხეულები, შტატივიანი ხელოვნური განათება, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი, კომპიუტერი, პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსად, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 24 პირი. ვიზიტის ფარგლებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის შეფასებისას და პროფესიული მოდულების 2 განმახორციელებელთან ინტერვიუირების შეუძლებლობის გამო, დაწესებულებამ გადაწყვიტა აღნიშნული 2 პირი აღარ ჩართოს პროგრამის განხორციელებაში. ამასთან, პროგრამაზე ზღვრულ რაოდენობად 126 პროფესიული სტუდენტის ნაცვლად, განისაზღვროს 56 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 28 პროფესიული სტუდენტი იმ პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. თითო ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 14 პროფესიულ სტუდენტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების გადაწყვეტილებას და მიზანშეწონილად მიაჩნია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შემცირება და პროგრამაზე ზღვრულ რაოდენობად - 56 პროფესიული სტუდენტის განსაზღვრა, მათ შორის 28 პროფესიული სტუდენტი იმ პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა კოლეჯის სამოქმედო არეალში პროგნოზირებად მოთხოვნას შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც ასევე დასტურდება ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის და შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემებით, ასევე, დასაქმების პლატფორმების ანალიზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ სრულად განხორციელდება სსიპ კოლეჯში „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (გურამ ფანჯიკიძის N3, ქ. თბილისი, 0160, საქართველო) იმიტირებულ გარემოში და პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ დგას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები განხორციელდება A, B და C გარემოში, რომელიც მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეულია 7 აუდიტორია, მათ შორის 2 აუდიტორია განსაზღვრულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლებისთვის. ასევე, დამატებით სატრენაჟორო დარბაზი გათვალისწინებულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტი“ განსახორციელებლად. პროგრამით განსაზღვრული მოდულების განსახორციელებლად გათვალისწინებული აუდიტორიები აღჭურვილია ჯგუფში 14 პროფესიული სტუდენტისთვის აუცილებელი ინვენტარი/აღჭურვილობით, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპიუტერებით, დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, ფერადი და შავ-თეთრი საბეჭდი მოწყობილობებით, პროფესიული სტუდენტების სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდით და სკამით. პროფესიული მოდულის ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება“ განხორციელებისთვის შესაბამისი

ინვენტარით ასევე დაკომპლექტებულია C გარემო, სადაც განთავსებულია 14 პროფესიული სტუდენტისთვის სახატავი სადგამები (მოლბერტები), სამხატვრო სკამი (ტუმბო), სახატავი დაფები, ნატურმორტის დასადები მაგიდები, თაბაშირის გეომეტრიული სხეულები, შტატივიანი ხელოვნური განათება, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი, კომპიუტერი, პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება. კოლეჯის მიერ პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი-აღჭურვილობის ფლობის დადასტურების მიზნით წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები, როლითაც იკვეთება, რომ პროგრამის ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა/სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) მიმდინარე წლის აპრილის თვეშია შეძენილი, ხოლო პროგრამით განსაზღვრული სხვა ძირითადი ინვენტარი/აღჭურვილობა გასულ წლებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ადამიანურ რესურსად განსაზღვრული არის 24 პირი. ვიზიტის ფარგლებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის შეფასებისას და დარგობრივი მოდულების 2 განმახორციელებელთან ინტერვიუირების შეუძლებლობის გამო, დაწესებულებამ გადაწყვიტა აღნიშნული 2 პირი აღარ ჩართოს პროგრამის განხორციელებაში. ამასთან, პროგრამაზე ზღვრულ რაოდენობად 126 პროფესიული სტუდენტის ნაცვლად, გადაწყვიტა განისაზღვროს 56 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 28 პროფესიული სტუდენტი იმ პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. თითოეულ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობად განსაზღვრულია - 14 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების გადაწყვეტილებას და მიზანშეწონილად მიაჩნია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შემცირება და პროგრამაზე ზღვრულ რაოდენობად - 56 პროფესიული სტუდენტის განსაზღვრა, მათ შორის 28 პროფესიული სტუდენტი იმ პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამ ეტაპზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 7 პირია განსაზღვრული, 6 პირი ზოგადი მოდულებისთვის, მათ შორის დარგობრივი უცხო ენისთვის, ხოლო 11 პირი ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისთვის. ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მუშაობის განრიგის შესახებ, მასალის გატანა-დაბრუნების მოთხოვნებს, ბიბლიოთეკის კომპიუტერული რესურსით სარგებლობის წესს და სხვა. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სასწავლო რესურსები და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი დაინტერესდა, როგორც დასკვნაშია ასახული, ორი მასწავლებლის კვალიფიკაციის დაუდასტურებლობის გამო აღნიშნულ პედაგოგებთან კოლეჯმა თანამშრომლობა შეწყვიტა და ისინი პროგრამის განხორციელებაში აღარ იქნებიან ჩართულნი, ამ ორ პედაგოგთან თანამშრომლობის შეწყვეტის შემდეგ მოახერხა თუ არა დაწესებულებამ მათი ჩანაცვლება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით, და ხელს ხომ არ შეუშლის აღნიშნული ცვლილება პროგრამის მიზნების მიღწევასა და უწყვეტ განხორციელებას.

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული პროგრამის მოდულების რეალიზებისთვის დაწესებულებას თავდაპირველად ჰყავდა შვიდი განმახორციელებელი პირი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ამ შვიდიდან ორის კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებდა გარკვეული მოდულების სწავლების მოთხოვნებს, რის გამოც მათი ჩართვა პროგრამაში მიზანშეწონილად არ ჩაითვალა. აღნიშნულმა ცვლილებამ გავლენა მოახდინა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესზე. დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული ორი პედაგოგის ამოღების პარალელურად შეამციროს პროგრამის ზღვრული რაოდენობა 56 სტუდენტამდე, რაც უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებასა და პროგრამის ეფექტიან განხორციელებას არსებული პერსონალის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაეფიქსირებინათ პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე განემარტათ, როგორ უყურებენ ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი, ჩემი შეფასებით, ხაზი გაუსვა საბჭოს თავმჯდომარემ, უფრო შესასრულებელია და ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს განმავითარებლად. გარდა ამისა, მინდა დავაზუსტო მოდულების თანმიმდევრობის საკითხი, რამდენად ლოგიკურად არის მათ შორის უზრუნველყოფილი სასწავლო კავშირი და სწორად არის თუ არა განსაზღვრული მათ შორის დამოკიდებულება, ვინაიდან სწავლის შედეგების მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად თანმიმდევრულად და სწორად ხორციელდება მოდულების წარმართვა. ასევე საინტერესოა, თუ დაწესებულება არ გაითვალისწინებს ექსპერტის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციას და პროგრამას არსებული ფორმით განახორციელებს, რა შედეგს მოიტანს ეს და შეაფერხებს თუ არა პროგრამის მიზნების მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციები, რომლებიც საწყის ეტაპზე ეხებოდა ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მოდულების შერწყმასა და შიდა რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანას, უკვე გათვალისწინებულია. შესაბამისი ცვლილებები შეტანილია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებშიც. ასევე, ყველა ის განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს იქნა გაცემული, ადგილზევე იქნა შესრულებული და შესწორებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობის შემცირების გადაწყვეტილება მიღებული იქნა დაწესებულების ინიციატივით, ვინაიდან მათი ხედვით, მცირე რაოდენობის სტუდენტებზე უფრო ხარისხიანად შეძლებენ პროგრამის განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა მხარი დაუჭირა 56-სტუდენტიან ფორმატს. რაც შეეხება მოდულების თანმიმდევრობასა და ლოგიკურ სტრუქტურას, წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები, რომელთა კადრებზეც მომავალში იგეგმება კურსდამთავრებულთა დასაქმება. სწორედ მათი რეკომენდაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა პროგრამის სტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების პრაქტიკულ შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასევე აღნიშნა, რომ ინგლისური ენის სწავლების მოდულის ინტეგრაციის ფორმაზე გარკვეული განსხვავებული ხედვა არსებობს. წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად ინგლისური ენის გამოყენებას სწავლების პროცესშივე, განსაკუთრებით ტექნიკური ტერმინოლოგიის ათვისების მიზნით, ვინაიდან პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტებს უწევთ საერთაშორისო დოკუმენტაციასთან მუშაობა. მისივე თქმით, აღნიშნული საკითხები პრაქტიკულად უფრო ნათლად გამოიკვეთება პროგრამის განხორციელების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება მიზნობრივი კორექტირება. დასასრულ, წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შინაარსობრივ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 100%-ია, რაც მოწმობს პროგრამის რელევანტურობასა და ბაზარზე მის საჭიროებას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველი იყოს, დაწესებულებას, თავისი პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით, აესახა არგუმენტირებულ პოზიციაში.

დამატებითი კომენტარი გააკეთა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა 2.4.2. კრიტერიუმის ფარგლებში გაცემულ ექსპერტთა რეკომენდაციასთან დაკავშირებით: კოლეჯის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის დებულება“ შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის N48/ნ ბრძანებაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ შესულ ცვლილებებთან, რომელიც განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 18 აგვისტოს ბრძანებით №69/ნ - 19.08.2025წ. დაწესებულებას აღნიშნული ცვლილებების შესრულების ვალდებულება ამ ეტაპზე არ ჰქონდა, ვინაიდან განახლებული ბრძანება მოგვიანებით იქნა გაგზავნილი და მითითებებიც დაგვიანებით მიეწოდათ კოლეჯებს. ამჟამად უნარების სააგენტო მუშაობს გზამკვლევის შემუშავებაზე, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა განხორციელდეს ქულების კონვერტაცია და სწავლების შედეგების დადასტურება ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში. ამის დასრულების შემდეგ, დაგეგმილია მასწავლებელთა გადამზადება, რათა მათ შეძლონ შესაბამისობაში მოყვანილი შეფასების სისტემის პრაქტიკული განხორციელება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროცესი მიმდინარეობს თანმიმდევრულად და მას შემდეგ, რაც გზამკვლევი მიეწოდებათ, დაწესებულებები შეძლებენ რეგულაციების სრულ შესაბამისობაში მოყვანას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - კოლეჯისთვის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ,,გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე, 62-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯს „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული

დიზაინი", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 10 ოქტომბერი.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:20 საათზე**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული
ზეგამოსაბეჭდი
ელექტრონულად

**დანართი 1**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო გადაყვანა- გადაზიდვებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 64 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 94 |

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აეროდრომის ექსპლუატაციასა და მშენებლობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 20 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 96 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 126 |

**დანართი 3**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | გრაფიკული დიზაინი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0211 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 56 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 28 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 118 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 88 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 118 |